ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All

GCRT წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საია
GYLA
Georgian Young Lawyers' Association

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

ანგარიშის ხელმძღვანელი: **მერაბ ქართველიშვილი**

ავტორი: **გვანცა საკანელაშვილი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

ყდის დიზაინი: **ნინო გაგუა**

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი ... 3

მეთოდოლოგია ... 6

ძირითადი მიგნებები ... 8

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები ... 10

შესავალი ... 10

ცემა, როგორც წამების და არასათანადო მოპყრობის ფორმა ... 11

ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წამება ... 15

იძულებითი აბორტი, როგორც წამების ფორმა ... 17

ვიდეოგადაღება, როგორც წამების პრევენცია და პოლიციელთა დაცვის მექანიზმი 20

წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება ... 23

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ... 31

სამსახურის შექმნა ... 31

საგამოძიებო სამსახურის დაკომპლექტება ... 33

დასკვნა და რეკომენდაციები ... 37

დანართი ... 40

№1. ა.გ-ს და გ.ბ-ს საქმე ... 40

№2. პ.ფ-ს საქმე ... 41

№3. ზ.მ-ს (გარდაცვლილის) საქმე ... 42

№4. რ.მ-ს საქმე ... 42

№5. ბ.მ-ს (არასრულწლოვანის) საქმე ... 43

№6. ბ.ხ-ს საქმე ... 43

№7. ლ.ს-ს (არასრულწლოვანი) საქმე ... 44

დანართი №8. გ.მ-ს საქმე ... 45

№9. მ.ტ-ს საქმე ... 46

№10. გ.პ-ს საქმე ... 47

№11. პატიმარ ვ.ფ-ს საქმე ... 48

№12. პატიმარ მ.ლ-ს საქმე ... 49

შესავალი

2018 წლიდან საია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან ერთად ახორციელებს პროექტს „წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში“. პროექტის მიზანია ზემოხსენებულ ქვეყნებში წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის პრევენცია, შესაბამისი მექანიზმების შექმნა და სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება წამების ფაქტების დოკუმენტირებისა და მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით.

საიამ 2016[1] და 2019[2] წლებში გამოსცა ანგარიშები, რომლებშიც, 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საიას წარმოებაში არსებულ საქმეებსა და გამოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია, რამდენად სწრაფი და ეფექტიანი იყო სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა სამართალდამცველთა მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე.

ბოლო წლების განმავლობაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა, სამართალდამცველთა მხრიდან მსგავსი დანაშაულების ჩადენა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტების შესახებ საუბარია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების,[3] ისე სახალხო დამცველის არაერთ (მათ შორის 2019 წელს გამოცემულ) ანგარიშში.[4]

---

[1] საიას ანგარიში „სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30ZEcJW [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[2] საიას ანგარიში „არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UmDHIB [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[3] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ანგარიში „სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SeRK0o [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

მიმდინარე ანგარიშის მიზანია, სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით, საქართველოში სამართალდამცველთა მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების იდენტიფიცირება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩამოყალიბებისა და მისი საგამოძიებო ნაწილის დაკომპლექტების შეფასება.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში[5] გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად ძალადობა ხორციელდება დაკავების, ტრანსპორტირებისა და პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვის დროს.[6] საიას წარმოებაში არსებული საქმეებიდან: ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაზარალებულისთვის ხელი მოტეხის ფაქტს,[7] 4 შემთხვევაში - პოლიციელთა მხრიდან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას (ცემა/მუქარა, შანტაჟი, სიტყვიერი შეურაცხყოფა), 3 შემთხვევაში - ფსიქოლოგიურ ზეწოლას და მუქარას, ერთ შემთხვევაში - სექსუალურ ძალადობას, ერთ შემთხვევაში კი - იძულებითი აბორტის ფაქტს.[8] ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდნენ ასევე კვლევის ფარგლებში გამოკითხული სპეციალურ პენიტენციარულ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები.[9]

წინა წლების მსგავსად, გამოწვევად რჩება სამართალდამცველი უწყებების მხრიდან მსგავსი ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების გონივრულ ვადებში წარმართვა, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაზარალებულად ცნობა. პოზიტიური ნაბიჯი იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა და მისი ამოქმედება, თუმცა, დადებითად ვერ შეფასდება სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონის იმ რედაქციით მიღება, რომლის მიხედვითაც, ინსპექტორს შეზღუდული მანდატი აქვს.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა „არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ShG1hp [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[4] სახალხო დამცველის ანგარიში „არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3942x48 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[5] ანგარიში არ მოიცავს 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან კავშირში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ანალიზს. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ საიას კვლევა „დაკარგული თვალის მიღმა“. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2RTEAWd [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[6] აღნიშნული იკვეთება როგორც საიას წარმოებაში არსებულ საქმეებში, ასევე, ადვოკატებისა და პენიტენციარულ დაწესებულებაში მოთავსებული ორი პატიმრის გამოკითხვის შედეგად.

[7] 2019 წლის 18 ნოემბრის აქციაზე დაკავებული გ.მ-ს საქმე. იხ. დანართი N8.

[8] სექსუალური ძალადობისა და იძულებითი აბორტის შემთხვევები პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არ განხორციელებულა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუმცა, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა აღნიშნული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორია, იხ. დანართი N9 და N10, მ.ტ-ს და გ.პ-ს საქმეები.

[9] დანართი N11 და N12, ვ.ფ-ს და მ.ლ-ს საქმეები.

ანგარიშს თან ერთვის რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისთვის. საია იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები და მიგნებები გამოყენებული იქნება არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და ჩადენილი დანაშაულების დროული და ობიექტური გამოძიებისთვის.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მიზნებისათვის გაანალიზდა 2019 წელს საიას მიერ წარმოებაში აღებული 10 სისხლის სამართლის საქმე. შეფასდა არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფორმა, მისი განმახორციელებელი სუბიექტი/სუბიექტები, პირის დაზარალებულად ცნობის საკითხი, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების პრობლემურობა.

საიამ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, უზენაესი სასამართლოდან, ქვეყნის ხუთი სასამართლოდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან გამოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (სსკ) გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია: წამება;[10] წამების მუქარა;[11] დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა;[12] სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;[13] სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება;[14] განმარტების, ჩვენებისა ან დასკვნის მიცემის იძულება;[15] პენიტენციარული დაწესებულების საქმიანობისთვის ხელშეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია[16] (გამოთხოვნილი ინფორმაცია მოიცავს 2019 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე პერიოდს).

საიამ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით შეიმუშავა კითხვარი, რომლის საშუალებითაც ინტერვიუები ჩატარდა ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების დაზარალებულებთან, ერთ შემთხვევაში - დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან (დაზარალებული გარდაიცვალა), პენიტენციარული დაწესებულების ორ მსჯავრდებულთან, რომლებმაც საიას დახმარების თხოვნით მიმართეს, პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და წამების საქმეებზე მომუშავე 4 ადვოკატთან.

[10] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144[1].
[11] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144[2].
[12] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144[3].
[13] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 332, ნაწ. 3, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
[14] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 333, ნაწ. 3 „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
[15] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 335.
[16] სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 378, ნაწ. 2.

ანგარიშზე მუშაობისას გაანალიზდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით არსებული ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ძირითადი მიგნებები

საიას წარმოებაში არსებული საქმეების, გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციისა და გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ 2019 წელს სამართალდამცველთა მხრიდან წამების/არასათანადო მოპყრობის ფორმად, ძირითადად, გამოყენებული იყო ცემა, თუმცა, ფიქსირდება ფსიქოლოგიური ძალადობის, ერთ შემთხვევაში - იძულებითი აბორტის[17] და ერთ შემთხვევაში - გაუპატიურების ფაქტებიც.[18]
- საიას წარმოებაში არსებული საქმის ერთ-ერთმა დაზარალებულმა[19] და პენიტენციარულ დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა[20] გამოკითხვის დროს განაცხადეს, რომ მათზე ზეწოლის შემდგომ სუიციდის მცდელობა ჰქონდათ, რაც წამების/არასათანადო მოპყრობის ფსიქოლოგიური შედეგების სიმძიმეზე მიუთითებს.
- საიას წარმოებაში არსებული წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება, მიუხედავად მათი სიმძიმისა, უმეტეს შემთხვევაში იწყება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (60%).[21]
- სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა უმეტესობის გამოძიება პროკურატურის მიერ დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე, უფლებამოსილების გადამეტების მუხლით (91%).[22]
- არასათანადო მოპყრობის საქმეებში მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი კვლავ საკმაოდ დაბალია, კერძოდ, საიას

[17] მ.ტ-ს საქმე, დანართი N9.
[18] გ.პ-ს საქმე, დანართი N10.
[19] მ.ტ-ს საქმე, დანართი N9.
[20] ვ.ფ-ს საქმე, დანართი N11.
[21] საიას წარმოებაში არსებული 10 სისხლის სამართლის საქმიდან 6 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება აღნიშნული მუხლით.
[22] გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სსკ-ის 144^1-ე, 144^3-ე, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით გამოძიება დაწყებულია ჯამში სულ 265 სისხლის სამართლის საქმეზე და აქედან 333-ე მუხლით - 241 საქმეზე.

წარმოებაში არსებული 10 საქმიდან მხოლოდ ორი პირია ცნობილი დაზარალებულად.[23]

- საიას წარმოებაში არსებული საქმეებიდან, სადაც გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 333-ე მუხლით, არცერთში არ არის ბრალი წარდგენილი.
- პროკურატურის მიერ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაწყებული გამოძიებების სტატისტიკის (2019 წლის ცხრა თვის მონაცემები) თანახმად, ძალიან დაბალია სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაწყებულ გამოძიებებში სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 3 პირის მიმართ განხორციელდა, რაც საქმეების მხოლოდ 1.6%-ია.[24]
- სსკ-ის 333-ე მუხლით დაწყებულ 10 საქმეზე პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.[25]
- 7 საქმესთან დაკავშირებით დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება გასაჩივრებულია სასამართლოში.[26] გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან სასამართლომ მხოლოდ 1 საჩივარი დააკმაყოფილა.
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ნაწილის 75%[27] დაკომპლექტებულია საქართველოს მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე პირებით.

[23] საიას წარმოებაში არსებული 10 საქმიდან მსხვერპლი დაზარალებულად ცნეს მხოლოდ ორ გახმაურებულ შემთხვევაში. აღნიშნული საქმეებიდან ერთ მათგანში ბრალი წარდგენილია 137-ე, ხოლო ერთში - 335-ე მუხლით.

[24] აღნიშნული მუხლით გამოძიება დაწყებულია 241 საქმეზე, ხოლო ბრალი მხოლოდ 3 პირს აქვს წარდგენილი, რაც საქმეების მხოლოდ 1.6 %-ია.

[25] გენერალური პროკურატურის 2019 წლის 4 ნოემბრის წერილი N13/7765.

[26] უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით პროკურორის დადგენილება გასაჩივრებულია თბილისის და რუსთავის საქალაქო, თელავის და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში. საიამ შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს 10 განჩინება, რომელიც ეხება 6 პირს, ასევე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ერთი განჩინება. საიას არ შეუსწავლია თელავისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოების განჩინებები დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

[27] 19 ვაკანტურ თანამდებობაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაინიშნა 16 გამომძიებელი, აქედან 7 გამომძიებელი დანიშვნამდე მუშაობდა პროკურატურაში, 6 - შსს-ში, 2 - ფინანსთა სამინისტროში, 2 კი - სამოქალაქო სექტორში.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები

შესავალი

ადამიანის უფლებებისადმი მიდგომები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ვითარდებოდა. დღესდღეობით, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვა გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა[28] და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის[29] შესაბამისი მუხლებით. აღნიშნული საერთაშორისო აქტების თანახმად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, წამება შეიცავს ოთხ კუმულაციურ ელემენტს:

- ტკივილის ან ტანჯვის განზრახ მიყენება;
- ინტენსივობა;
- ოფიციალური პირის პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობა;
- კონკრეტული მიზანი.[30]

საქართველოს მიერ რატიფიცირებულია გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ, წამებისაგან დაცვა გარანტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციით.[31] წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსითაც.[32] მიუხედავად საკანონმდებლო ბერკეტებისა, სამართალდამცველთა მხრიდან კვლავ აქვს ადგილი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს და წამების მსხვერპლთა უფლებების სერიოზულ დარღვევებს.

[28] გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 5.
[29] გაეროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 3.
[30] Human Rights Centre, University of Essex, The Torture Reporting Handbook, Second edition, 2015, გვ.20.
[31] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9.
[32] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები - 144^1, 144^2, 144^3.

საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ არასათანადო მოპყრობის ფორმად 2019 წელს სამართალდამცველთა მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა (ცემა/მუქარა, შანტაჟი, სიტყვიერი შეურაცხყოფა), თუმცა, ერთ შემთხვევაში ფიქსირდება სექსუალური ძალადობის, ერთ შემთხვევაში კი, იძულებითი აბორტის ფაქტები.[33]

ცემა, როგორც წამების და არასათანადო მოპყრობის ფორმა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას, თუმცა, ყველა სახის არასათანადო მოპყრობა არ განიხილება წამების სახედ. იმისთვის, რომ არასათანადო მოპყრობა მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებად ჩაითვალოს, მან უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს. მინიმალური დონე კი, ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგი, ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[34]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეთა ნაწილში სამართალდამცველის მხრიდან მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის ცემას განიხილავს, როგორც წამებას, გარკვეულ შემთხვევაში კი - როგორც არასათანადო მოპყრობას. ზურგს უკან შეკრული ხელებით დაკიდებას და ცემას წამების სახედ მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „აკსოი თურქეთის წინააღმდეგ“.

აკსოი თურქმა სამართალდამცველებმა დააკავეს ტერორიზმში დახმარების ბრალდებით. აკსოის განმარტებით, განყოფილებაში მიყვანისას იგი გამოკითხეს, ხოლო დაკავებიდან მეორე და შემდეგ დღეებში აწამეს. აკსოის მიმართ წამების სახედ დაკავებიდან მეორე დღეს გამოიყენეს ე.წ. „პალესტინური ჩამოხრჩობა“, წამება ელექტროდებით, დანარჩენ დღეებში კი, სისტემატურად სცემდნენ.[35]

---

[33] სექსუალური ძალადობისა და იძულებითი აბორტის შემთხვევები პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არ განხორციელებულა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუმცა, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა აღნიშნული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორი იყო.
[34] Ireland v. UK, (განაცხადი N 5310/71) პარ. 162 (1978).
[35] Aksoy v. Turkey, (განაცხადი N 21987/93) 18.12.1996, პ.14.

აკსოის წამება სამართალდამცველთა მხრიდან გაგრძელდა ოთხი დღის განმავლობაში.

მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი მოპყრობა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ განზრახ. ამისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული მომზადება და ძალის გამოყენება. სავარაუდოდ, აღნიშნული ქმედება ჩადენილი იყო მომჩივნისგან აღიარების მოპოვების ან სხვა ინფორმაციის მიღების მიზნით. გარდა მწვავე ფიზიკურ ტკივილისა, სამედიცინო მასალებით დგინდება, რომ ამან გამოიწვია ორივე ხელის მტევნის პარალიზება, რაც გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდებოდა. სასამართლოს აზრით, მოპყრობა იყო იმდენად მძიმე და სასტიკი, რომ იგი შეიძლება მიჩნეული იყოს წამებად.[36]

ევროპულმა სასამართლომ ცემა წამების ფორმად აღიარა კიდევ ერთ საქმეში - „მასლოვა[37] და ნალბანდოვი[38] რუსეთის წინააღმდეგ“. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ გამოკითხვისას სახელმწიფო მოხელეები მათ არასათანადოდ მოეპყრნენ და ეს შემთხვევა ეფექტიანად არ გამოიძიეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორივე განმცხადებლის მიმართ დაადგინა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. სასამართლომ მიუთითა მის მიერ უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე[39] და აღნიშნა, რომ მე-3 მუხლი მოიცავს საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას და

[36] იქვე, პ.64.

[37] პირი მოწმის სტატუსით სარგებლობდა ერთ-ერთ საქმეში. მისი განცხადებით, გამოკითხვისას ორი პოლიციელი მოითხოვდა მისგან დანაშაულის აღიარებას. უარის მიღების შემდეგ კი, დაუწყეს ყვირილი და ემუქრებოდნენ, რომ მის წინააღმდეგ აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს. პოლიციელებმა აიღეს მისი შარფი და რამდენჯერმე მოარტყეს სახეში. ამის შემდეგ ერთ-ერთი პოლიციელი გავიდა ოთახიდან, მეორე პოლიციელმა ჩაკეტა კარი და გააგრძელა მასზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. კერძოდ, განმცხადებელს ხელები შეუკრა ბორკილებით და ურტყამდა თავსა და სახეზე. მან ჯერ გააუპატიურა შემდეგ კი აიძულა, ჰქონოდა მასთან ორალური სექსი. რამდენიმე საათის შემდეგ იგი ორჯერ კვლავ გააუპატიურეს პოლიციელებმა. MASLOVA AND NALBANDOV v. RUSSIA (განაცხადი: 839/02) 28.01.2008, პ.13,14,31.

[38] განყოფილებაში მყოფმა პოლიციელმა შეათრია ერთ-ერთი ოთახში, სადაც იმყოფებოდა ორი გაურკვეველი ვინაობის პოლიციელი. ამის შემდეგ მან კარი ჩაკეტა შიგნიდან, რამდენჯერმე დაარტყა სხეულზე, თავზე გადაუჭირა მისივე შარფი და ახრჩობდა. იქვე, პ. 25,26,27.

[39] Aksoy v. Turkey და Aydın v.Turkey.

აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.[40]

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ნაკრები (ცემა თავის, სახისა და მუცლის არეში), განსაკუთრებით კი გაუპატიურება, რომლის მიზანიც იყო აღიარებითი ჩვენების მოპოვება, უტოლდება წამებას და წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.[41]

იმ შემთხვევებში, როდესაც დაკავებული პირის მიმართ ადგილი აქვს ძალადობას, მაგრამ მიზანი აღიარებითი ჩვენების მოპოვება არ არის, სამართალდამცველი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებულის ცემას სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად აფასებს, თუმცა, ქმედებებს განიხილავს არა წამების, არამედ არაადამიანური მოპყრობის ფორმად. საქმეში „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობას.[42] განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას სამართალდამცველებმა სცემეს დაკავების დროს, ასევე, პოლიციაში, წინასწარი დაკავების იზოლატორსა და ციხეში.

მიქიაშვილი სამართალდამცველებმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დააკავეს. მისი განმარტებით, დაკავებისას პოლიციელებმა ხელი ჰკრეს, რის გამოც მიწაზე დავარდა. ამის შემდეგ დაუწყეს ცემა - ურტყამდნენ ხელკეტებს თავში, მუცელსა და ზურგში. განსაკუთრებით ბევრი დარტყმა თავის არეში მიიღო.[43] დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანამდე მორიგე ექიმის მიერ ადგილზე შედგენილ დასკვნაში მითითებულია, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა დიდი ზომის ჰემატომა შუბლის მარცხენა ნაწილში, მარჯვენა საფეთქელზე, მარცხენა თვალთან ახლოს და ღაწვთან, სილურჯე ტუჩზე და ტუჩის დაზიანება, რამაც გამოიწვია სისხლდენა და დიდი ზომის ჩალურჯება კისერსა და მთელ ზურგზე.[44] მიქიაშვილის განცხადებით, მას სცემეს წინასწარი

[40] MASLOVA AND NALBANDOV v. RUSSIA, (განაცხადი: 839/02) 28.01.2008, პ.99.
[41] MASLOVA AND NALBANDOV v. RUSSIA (განაცხადი: 839/02) 28.01.2008, 105, 122.
[42] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013.
[43] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013, პ.24,36.
[44] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013, პ.6.

დაკავების იზოლატორში[45] და სასჯელის მისჯის შემდეგ[46] - ციხეში, ციხის საავადმყოფოს უფროსის მოადგილემ და ციხის ექვსმა თანამშრომელმა.[47]

სასამართლომ აღნიშნულ საქმეში მიუთითა თავის ძველ გადაწყვეტილებებზე და განმარტა, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავების მიზნით. თუმცა, ძალის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გარდაუვალ ვითარებაში და, ამასთან, ის არ უნდა იყოს გადამეტებული.[48] საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, პოლიციელთა ქმედებები, რამაც გამოიწვია დიდი ზომის ჰემატომა შუბლზე, საფეთქელზე, მარცხენა თვალთან ახლოს და ღაწვთან, სილურჯე ტუჩზე და ტუჩის დაზიანება, სისხლდენა, დიდი ზომის ჩალურჯება კისერსა და მთელ ზურგზე, თავის დაზიანება და ტვინის შერყევა, სცდება უფლებაში პროპორციულ ჩარევას და შეიძლება შეფასდეს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფორმად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ანალიზი აჩვენებს, რომ დაკავების დროს პოლიციელთა მხრიდან შესაძლებელია დასაკავებელი პირის ქცევის თანაზომიერი და პროპორციული ძალის გამოყენება. დაკავებულის ცემა, მისთვის ფიზიკური დაზიანებების მიყენება კი, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას და მისი ინტენსიურობის, ძალადობის, დაზიანებების ხასიათის, მიზნის, შედეგების შეფასებით, ის შეიძლება განხილული იყოს პოლიციელთა მხრიდან წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფორმად.

როგორც საიას საქმეები, ისე პატიმრებისა და ადვოკატების გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ყველაზე მეტად არასათანადო მოპყრობის ფორმად სამართალდამცველები იყენებენ ცემას ან/და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც გამოიხატება მუქარასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში.

საიას წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზიდან იკვეთება, რომ დაკავებულთა მიმართ ძალადობას არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი, არამედ

[45] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013, პ.36.
[46] იგი მსჯავრდებული იყო სსკ-ის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა პატიმრობა.
[47] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013, პ.45,52.
[48] MIKIASHVILI v. GEORGIA (განაცხადი: 18996/06) 09.01.2013, პ.70.

გრძელდებოდა გარკვეული დროის მანძილზე და მათ ძლიერ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ტკივილს აყენებდა.[49]

საიას წარმოებაში არსებულ საქმეში (რ.მ-ს საქმე), რომელშიც **ფიქსირდება ფიზიკური ძალადობის საკმაოდ მძიმე შედეგები (ჰემატომები, კბილების ჩამტვრევა და ა.შ.),**[50] იკვეთება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლით დაცული უფლების დარღვევა. ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. 2019 წლის ივლისიდან საია ჩართულია რ.მ-ს სისხლის სამართლის საქმეში და ითხოვს დაზარალებულად მის ცნობას, თუმცა - უშედეგოდ.

ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წამება

წამება მოიცავს არა მხოლოდ მეთოდებს, რომლებიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს, არამედ სამართალდამცველთა მხრიდან განხორციელებულ ისეთ ქმედებებსაც, რომელთა თანმდევიც არის მძიმე ფსიქოლოგიური ტანჯვა. წამების ფსიქოლოგიურ მეთოდებად მიიჩნევა ხანგრძლივი დროით დაკავება, წამებისა და არასათანადო მოპყრობის მუქარა დაკავებული პირის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ, გაუპატიურების მუქარა და სხვა.[51]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ფსიქოლოგიური ძალადობა წამების ფორმად არის მიჩნეული. საქმეში „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ იგი სამართალდამცველებმა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით დააკავეს. დაკავების მომენტიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმას პოლიციელთა მხრიდან. სელმუნი აცხადებდა, რომ იგი დაექვემდებარა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ არასათანადო მოპყრობას.[52]

---

[49] იხ. დანართები N4, N9, N11 - რ.მ-ს, მ.ტ-ს და ვ.ფ-ს სისხლის სამართლის საქმეები.
[50] იხ. დანართი N4 - რ.მ-ს საქმე.
[51] ინტერაითსის სახელმძღვანელო იურისტებისთვის „წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-3 მუხლი)“, 2006.
[52] Selmouni v. France, p.82,91 (განაცხადი: 25803/94) 28.09.1999.

სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქმედება, რომელიც იწვევს შიშს, ტკივილს, არასრულფასოვნების შეგრძნებას, პირის დამცირებასა და შეურაცხყოფას, მის ფიზიკურ და მორალურ გატეხას, უნდა შეფასდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად და მოექცეს კონვენციის მესამე მუხლით დაცული უფლების სფეროში.

ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენა საკმაოდ რთულია, თუმცა, სტამბოლის პროტოკოლი[53] იძლევა ინფორმაციას, თუ რა ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მსგავსი ძალადობის იდენტიფიცირება. პროტოკოლის მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებულ ჩივილებს განეკუთვნება თავის ტკივილი, ტკივილი ზურგში, კუჭ-ნაწლავის სიმპტომები, სასქესო ფუნქციის მოშლა, კუნთების ტკივილი. აღსანიშნავია, ასევე, დეპრესიული რეაქცია, შფოთვა, უძილობა, ღამის კოშმარები, რეტროსპექცია და მეხსიერების დაქვეითება.[54]

ფსიქოლოგიური ძალადობა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირზე საკმაოდ სერიოზული თანმდევი შედეგებით ხასიათდება. პოლიციელთა მხრიდან დაკავების დროს ან შემდგომ პერიოდში პირის მიმართ განხორციელებული ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც იწვევს მის მორალურ გატეხას, თავს აგრძნობინებს დამცირებულად, უჩენს შიშს მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების გამო, წარმოადგენს კონვენციის მესამე მუხლით დაცული უფლების დარღვევას.

ფსიქოლოგიური ძალადობა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი წამების/ არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი ფორმაა. როგორც საიას წარმოებაში არსებულმა საქმეებმა, ისე გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ქმედება, ძირითადად, ხორციელდება მუქარისა და შანტაჟის სახით. **მორალური წნეხი,[55] სასჯელის მაქსიმალური ოდენობა, ოჯახის სხვა წევრების დაჭერის**

[53] გაეროს 2004 წლის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დასჯის სახელმძღვანელო, ქართულად ნათარგმნი, 2017 წ.
[54] იქვე, პ. 170.
[55] დანართი N6 - ბ.ხ-ს საქმე. დანართი N11 - ვ.ფ-ს საქმე. პატიმრის განცხადებით, პოლიციელები გამოკითხვისას უმეორებდნენ, რომ გარეთ ახალგაზრდა ცოლი ელოდებოდა და ჯობდა, დაფიქრებულიყო.

მუქარა წარმოადგენს მუქარისა და შანტაჟის იმ ფორმებს, რომლებსაც სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლები ყველაზე ხშირად მიმართავენ.

მძიმე შედეგი დადგა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლისთვის **საიას წარმოებაში არსებულ ორ საქმეზე, სადაც პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ძალადობას მსხვერპლის თვითმკვლელობა მოჰყვა.**[56] ამის მიუხედავად, **არცერთ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა წამების/არასათანადო მოპყრობის მუხლებით.** სამართალდამცველთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო სუიციდის მცდელობაზე საუბრობს ჩვენ მიერ გამოკითხული ერთ-ერთი პატიმარიც. მისი განცხადებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფმა ციხეში თვითმკვლელობა სცადა.[57]

იძულებითი აბორტი, როგორც წამების ფორმა

იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით დაცული უფლებების სფეროში ექცევა. სტერილიზაცია პირის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში მნიშვნელოვან ჩარევას წარმოადგენს და ადამიანის პიროვნული მთლიანობის მრავალ ასპექტს აერთიანებს, მათ შორის, ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას და ემოციურ, სულიერ და ოჯახურ ცხოვრებას. ფსიქიკურად კომპეტენტური ზრდასრული პაციენტის თანხმობის გარეშე სტერილიზაცია შეუსაბამობაში მოდის ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემის მოთხოვნასთან. უფრო მეტიც, საზოგადოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები ადგენს, რომ სტერილიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, გარდა საგამონაკლისოდ გადაუდებელი ვითარებისა.[58]

---

[56] დანართები N6, N7 - ბ.ხ-ს და ლ.ს-ს საქმეები.

[57] პატიმრის განცხადებით, გამოკითხვის დროს მასზე განხორცილებულმა ფსიქოლოგიურმა ძალადობამ მასზე იმდენად სერიოზული კვალი დატოვა, რომ მუდმივად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე. ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, მას დასჭირდა გარკვეული ვადით მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

[58] V.C. v. SLOVAKIA (განაცხადი: 18968/07), 08.11.2011.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) 39-ე მუხლი კრძალავს იძულებით აბორტსა და სტერილიზაციას. კონვენციის თანახმად, იძულებითი აბორტი გულისხმობს ქალისთვის აბორტის გაკეთებას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.

წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით, თუმცა, **ნაკისრი ვალდებულება ამ ნაწილში არ შესრულებულა.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით კრიმინალიზებულია მხოლოდ უკანონო აბორტი, ხოლო სსკ-ის 133[1] მუხლით - სტერილიზაცია. წლებია, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი იძულებითი აბორტისა და აბორტის იძულების კრიმინალიზაციის შესახებ.

საქართველოში სტერილიზაცია სისხლისსამართლებრივად დასჯადია და **მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში რაც შეიძლება სწრაფად აისახოს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნები, ცვლილებები შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსში და მოხდეს იძულებითი აბორტისა და აბორტის იძულების შემთხვევების კრიმინალიზაცია.**

საიას წარმოებაში არსებული საქმეებიდან ერთ შემთხვევაში სამართალდამცველი უწყების წარმომადგენლის მხრიდან, სავარაუდოდ, განხორციელდა აბორტის იძულება. საქმე აღძრულია სსკ-ის რამდენიმე მუხლით,[59] თუმცა, მათ შორის არცერთი არ შეეხება იძულებით აბორტს, ვინაიდან მსგავს ჩანაწერს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს.

აღნიშნულ საკითხს შეეხო ასევე სახალხო დამცველი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ 2019 წელს გამოცემულ ეროვნულ კვლევაში,[60] სადაც საუბარია რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ქვეყანაში არსებულ იმ გამოწვევებზე, რომლებიც

[59] დანართი N9 - მ.ტ-ს საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 133-ე, 126-ე, 150-ე, 151-ე, 115-ე, 372-ე მუხლებით.
[60] კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3aqvWX1 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

აბორტთან დაკავშირებით ქალის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას უკავშირდება.[61]

[61] კვლევის მიხედვით, ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ თემებში ქალებს უკიდურესად შეზღუდული აქვთ რეპროდუქციულ საკითხებზე დამოუკიდებელი გადაწვეტილების მიღების შესაძლებლობა. აბორტის და ქალის რეპროდუქციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ძირითადად, მეუღლის, დედამთილის ან მეუღლის ოჯახის სხვა უფროსი წევრების მიერ წყდება.

ვიდეოგადაღება, როგორც წამების პრევენცია და პოლიციელთა დაცვის მექანიზმი

წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის განცხადებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაკავების მომენტიდან. პრევენციის ერთ-ერთი საშუალებაა მოქალაქესთან პოლიციის თანამშრომლის კომუნიკაციის ამსახველი ფაქტის ვიდეოჩაწერა.[62] ტექნოლოგიური საშუალებები იძლევა შესაძლებლობას, რომ გადაღება მოხდეს სამხრე კამერებით, ასევე, სხვადასხვა ფუნქციის მქონე კამერები[63] განთავსდეს პოლიციის მანქანებში.

წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტი აქცენტს აკეთებს ასევე ვიდეო-აუდიო ჩაწერის მნიშვნელობაზე გამოკითხვის/დაკითხვის პროცესშიც.[64] კომიტეტის განცხადებით, **დაკითხვის დროს უნდა წარმოებდეს უწყვეტი ვიდეოჩაწერა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს მასზე გამოსაკითხი პირის წვდომა.** პოლიციელთა ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციის ამსახველი ვიდეო-აუდიო მტკიცებულების არსებობა მნიშვნელოვანი გარანტიაა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან პირის დასაცავად.[65]

სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდო **არასათანადო მოპყრობის საქმეებზე დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ვიდეოჩანაწერი**, რომელზეც ასახული იქნება პირის მდგომარეობა დაკავების, გამოკითხვის/დაკითხვის და ტრანსპორტირების დროს.

ვიდეო-აუდიო ჩაწერის განხორციელების უფლებამოსილება კანონმდებლობით აქვს საპატრულო პოლიციას. შსს მინისტრის ბრძანებით, საზოგადოებრივი

[62] Penal Reform International, Detention Monitoring Tool "Video recording in police custody", 2015, P. 2.
[63] Penal Reform International, Detention Monitoring Tool "Video recording in police custody", 2015, P. 2.
[64] Report to the Government of Serbia on the visit to Serbia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment- (CPT), 2017, P.16,23, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3954Nsu [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
[65] UNCAT Implementation Tool 2/2017, "SAFEGUARDS IN THE FIRST HOURS OF POLICE DETENTION", P.6. Julia Kozma and Asbjørn Rachlew in cooperation with DIGNITY – Danish Institute against Torture, "Combating Torture During Police Custody and Pre-Trial Detention", 2018, P.11.

წესრიგისა და უსაფრთხოების, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ვიდეო-აუდიო ჩაწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით.[66] მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია ასევე პატრულის მიერ გაკეთებული ჩანაწერის შენახვის ვადებიც. **სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებულ მონაცემებს ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორი განათავსებს სპეციალურ სერვერზე, სადაც შეინახება 30 დღის განმავლობაში.**[67]

საპატრულო პოლიციისგან განსხვავებით, **პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების** (უმეტეს შემთხვევაში სწორედ მათ მიერ ხორციელდება დაკავება, გამოკითხვა ან/და დაკავებულის ტრანსპორტირება დროებითი მოთავსების იზოლატორში) **არათუ ვალდებულებას, არამედ უფლებამოსილებასაც კი სამხრე ვიდეოკამერების ტარებასთან დაკავშირებით.** პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პოლიცია ვალდებულია, ვიდეოკამერით იყოს აღჭურვილი მხოლოდ სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების დროს.[68]

ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვიდეოკამერების არარსებობა პოლიციის განყოფილებების შიდა პერიმეტრზე, გამოსაკითხ ოთახებსა და იმ ადგილებში, სადაც ყველაზე ხშირად ხდება სავარაუდო არასათანადო მოპყრობა. ამ პრობლემაზე საია წინა წლებშიც საუბრობდა.[69] აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებდა სახალხო დამცველიც.[70] სახალხო დამცველის ანგარიშისა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის

[66] შს მინისტრის ბრძანება N1310 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 15.12.2005, მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე".

[67] შს მინისტრის ბრძანება N1310 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 15.12.2005, მუხლი 12[1], პუნქტი 1.

[68] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხლი 24, პუნქტი 5.

[69] საიას კვლევა „არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე", 2019, გვ. 30, 31, ხელიმსაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/3cfiy9E [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[70] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2018წ. გვ. 25, 63, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2wvfJB2 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

კვლევის[71] მიხედვით, პოლიციის განყოფილებათა უმრავლესობა არ არის აღჭურვილი ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით. პოლიციის ზოგიერთ განყოფილებაში კი, კამერები მხოლოდ შენობის შესასვლელშია დამონტაჟებული.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე სავალდებულო გახდეს სამართალდამცველთა მიერ ვიდეოგადაღების წარმოება მოქალაქესთან კომუნიკაციის დაწყებიდან მის დასრულებამდე. არასათანადო მოპყრობის აღკვეთისთვის რეკომენდირებულია ყველა იმ ადგილის (პოლიციის მანქანების, პოლიციის შენობების, განსაკუთრებით კი, დაკითხვის ოთახების) ვიდეო-აუდიო მოწყობილობებით აღჭურვა, სადაც პირს მისი დაკავების მომენტიდან უწევს ყოფნა. **აუდიო-ვიზუალური ჩაწერა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაკავებულის დაცვას სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან, არამედ, ასევე, წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას პოლიციელის დასაცავად წამებისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე ცრუ ბრალდებისგან.**[72]

[71] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა „არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში“ 2019წ. გვ. 43, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2vRBDON [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
[72] Preventing Torture An Operational Guide for National Human Rights Institutions, 2010, P.33.

წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება

პრევენციული ღონისძიებების პარალელურად, საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს მოუწოდებენ, სწრაფად და ეფექტიანად გამოიძიონ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. ამგვარი საქმეების ოპერატიულად გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით შექმნილია სპეციალური სახელმძღვანელო.[73] სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით, „წამების შემთხვევათა ნებისმიერი რეალური გამოძიების ფუძემდებელ პრინციპებს წარმოადგენს მისი კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სისწრაფე და გულმოდგინება“.[74]

წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოსაძიებლად სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ მუხლებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება,[75] ასევე, განმარტების, ჩვენების და დასკვნის მიცემის იძულება.[76]

მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მძიმე ფორმებისა, **არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საიას წარმოებაში არსებული საქმეების უმრავლესობის გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.** კერძოდ, **10 სისხლის სამართლის საქმიდან 6-ზე გამოძიება მიმდინარეობს სწორედ აღნიშნული მუხლით**, თითო შემთხვევაში – სსკ-ის 335-ე, 115-ე და 137-ე მუხლებით, ერთ შემთხვევაში კი – სსკ-ის 115-ე, 126-ე, 133-ე, 150-ე, 151-ე და 372-ე მუხლების ერთობლიობით**.**

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საიას წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მაჩვენებელს მუხლობრივად.

---

[73] სტამბოლის პროტოკოლი.
[74] სტამბოლის პროტოკოლი, პ73.
[75] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 333.
[76] იქვე, მუხლი 335.

დიაგრამა №1



2019 წელს საიას მიერ წარმოებაში აღებულ არცერთ საქმეზე გამოძიება სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით არ მიმდინარეობდა. საიამ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული მუხლებით დაწყებული გამოძიების შესახებ,[77] კერძოდ, 2019 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით ან/და ამ მუხლებთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულზე:

1. რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ დაიწყო გამოძიება;
2. რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ შეწყდა გამოძიება;
3. რამდენ საქმეზე და რამდენ პირს ეთქვა უარი დაზარალებულად ცნობაზე;

[77] საიას 2019 წლის 11 ნოემბრის განცხადება Nგ-04/247-19.

4. მიმდინარე საქმეებიდან რამდენ საქმეზეა გასული 6 თვეზე მეტი დრო გამოძიების დაწყებიდან და არიან თუ არა სავარაუდო მსხვერპლები დაზარალებულად ცნობილი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საიასთვის მიწოდებული საჯარო ინფორმაციით დასტურდება, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ სსკ-ის 333-ე მუხლით მიმდინარეობს.[78]

სტატისტიკის თანახმად, 2019 წელს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გამოძიება დაიწყო ყველაზე მეტ – 241 საქმეზე, სსკ-ის 144[1]-ე მუხლით – სულ 3 საქმეზე, სსკ-ის 144[2]-ე მუხლით – არცერთ საქმეზე, ხოლო სსკ-ის 144[3]-ე მუხლით – სისხლის სამართლის 21 საქმეზე.

დიაგრამა №2



[78] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2019 წლის 4 ნოემბრის წერილი N13/77665.

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტის სსკ-ის 144[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით კვალიფიკაციის შემთხვევაში კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით, ხოლო სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით კვალიფიკაციის შემთხვევაში – 5-დან 8 წლამდე ვადით.

შესაბამისად, შესაძლოა, სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გამოძიების წარმართვა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ ჩადენილი დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, სამართალდამრღვევი სამართალდამცველის მიმართ გამოყენებული იყოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი.

გარდა იმისა, რომ სამართალდამცველთა მხრიდან დაკავების ან/და გამოკითხვა/დაკითხვის დროს მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების დაკვალიფიცირება უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არასწორია, საყურადღებოა თუნდაც ამ მუხლით დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის ხარისხი, კერძოდ, გამოძიების ხანგრძლივობა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების (პროკურატურის შემთხვევაში – ბრალის წარდგენა) მიღება.

საიას წარმოებაში არსებული საქმეებიდან ხუთ შემთხვევაში გასულია 6 თვეზე მეტი გამოძიების დაწყებიდან, თუმცა, აღნიშნულ საქმეებში საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირები დაზარალებულებად არ არიან ცნობილნი.[79]

საიამ მთავარი პროკურატურიდან ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, თუ რამდენ საქმეზე იყო გასული გამოძიების დაწყებიდან 6 თვე და იყვნენ თუ არა პირები ცნობილნი დაზარალებულებად. პროკურატურამ მოგვაწოდა ინფორმაცია დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის დადგენილებების ოდენობის შესახებ. **აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს პროკურატურამ დაზარალებულად ცნობაზე უარი განაცხადა 10 საქმეზე.[80]**

[79] მიმდინარე ათი საქმიდან მხოლოდ ორ შემთხვევაშია ბენეფიციარი დაზარალებულად ცნობილი. ორივე საქმე საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის დეკემბრიდან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/37ERJZf [ბოლო ნახვა: 05.03.2020]; https://bit.ly/2SDuY3s [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[80] მთავარი პროკურატურის 2019 წლის 4 ნოემბრის წერილი N13/7765.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლების – დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ ზემდგომი პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის გამოყენების[81] შესახებ არსებული ტენდენციის გასაანალიზებლად, საიამ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია პირის დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული საჩივრების შესახებ.[82] პარალელურად, საიამ საქალაქო სასამართლოებიდან გამოითხოვა მონაცემები დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლოში შესულ საჩივართა ოდენობის შესახებ, ასევე, სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები.[83]

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, **საქართველოს მასშტაბით დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასასაჩივრებლად სასამართლოებში სულ შევიდა 13 საჩივარი.**[84] აქედან 10 საჩივარი შესულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, 1 – რუსთავის საქალაქო სასამართლოში, თითო-თითო კი – თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მოწოდებული 10 განჩინების (აღნიშნული 10 განჩინება ეხება სისხლის სამართლის 6 საქმეს) და რუსთავის საქალაქო

[81]საიას მიერ გ.გ-ს ინტერესების დასაცავად სსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით გასაჩივრებულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კოდექსში 2019 წლის სექტემბერში შესული ცვლილების შედეგად კი, პროკურორის აღნიშნული დადგენილების გასაჩივრების უფლება დაიშვა ყველა კატეგორიის საქმეზე.
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299, 2018წ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2VpWi74 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
[82] საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება Nგ-04/244-19.
[83] საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება გ/04-241-19 ბათუმის საქალაქო სასამართლოს.
საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება გ/04-242-19 რუსთავის საქალაქო სასამართლოს.
საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება გ/04-243-19 ქუთაისი საქალაქო სასამართლოს.
საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება გ/04-245-19 თბილისის საქალაქო სასამართლოს.
საიას 2019 წლის 11 ოქტომბრის განცხადება გ/04-246-19 ფოთის საქალაქო სასამართლოს.
[84] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 ოქტომბრის წერილი Nპ-128019.

სასამართლოდან მოწოდებული ერთი განჩინების[85] (ჯამში 11 განჩინება – 7 საქმეზე) შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმების მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

პროკურატურისა და სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ დადგენილებათა უმრავლესობა მხარის მიერ გასაჩივრებულია სასამართლოში.

პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით, 7 საქმეზე[86] საჩივარი შეტანილია სასამართლოში.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებში მნიშვნელოვანია სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნულ საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადაში. პროკურატურის მხრიდან საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში იგულისხმება ბრალის წარდგენა და სასამართლოში საქმის წარმართვა. **საიას წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის 10 საქმიდან ბრალი წარდგენილია მხოლოდ ორ საქმეში,[87] რომელთაგან ერთზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 335-ე მუხლით, ხოლო მეორეზე – სსკ-ის 137-ე მუხლით.**

2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 1-ლ ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე, 144^3-ე, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელთან ერთად, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან საიას მიეწოდა ინფორმაცია აღნიშნული მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემების თაობაზეც.

---

[85] შესწავლილია თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოების, ჯამში, 11 განჩინება სისხლის სამართლის 7 საქმეზე. შესწავლილი არ არის თელავისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები.

[86] ამაში არ შედის თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში შესული საჩივრები დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული საჩივრები საიას არ შეუსწავლია.

[87] იხ. დანართები N7 და N10.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 2019 წლის ცხრა თვის მონაცემები სსკ-ის 144[1]-ე, 144[3]-ე და სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების, შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ.

დიაგრამა №3



პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაწყებულ გამოძიებებში სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 3 პირის მიმართ განხორციელდა, რაც საქმეების მხოლოდ 1.6%-ია. ამ მასშტაბით დაწყებული გამოძიების ფონზე დევნის განხორციელების ასეთი დაბალი მაჩვენებელი, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკულია.

საიას წარმოებაში არსებული საქმეების, საჯარო ინფორმაციისა და დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებების გასაჩივრებაზე სასამართლოს განჩინებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება

ითქვას, რომ არასათანადო მოპყრობის საქმეების სათანადო კვალიფიკაციის, გამოძიების ეფექტიანად და გონივრულ ვადებში წარმართვის, დაზარალებულად ცნობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით გამოწვევები კვლავ სახეზეა. სპეციალური ნორმების არსებობის პირობებში, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყება სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც სპეციალურ ნორმაზე ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს, ბადებს ეჭვს, რომ ეს, შესაძლოა, ემსახურებოდეს სამართალდამცველთათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

სამსახურის შექმნა

წლების განმავლობაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე არაერთი აქტორი საუბრობდა,[88] მათ შორის, სამოქალაქო ორგანიზაციები.[89] **დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მოთხოვნა განპირობებული იყო ქვეყანაში სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზებით.** დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საჭიროებაზე საუბარი იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და მის თანმხლებ 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგში.[90]

მიუხედავად იმისა, რომ **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კანონპროექტზე მუშაობისას იუსტიციის სამინისტრომ არ გაიზიარა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები,** არასამთავრობო ორგანიზაციები გამოთქვამდნენ აქტიურ მზადყოფნას, ეთანამშრომლათ საქართველოს

---

[88] კანონპროექტი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესაქმნელად, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31Cf6kQ [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
კოალიციის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ 2017 წლის მიმართვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37Ypu8N [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
კოალიციის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ და სახალხო დამცველის ერთობლივი განცხადება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2S0zGbo [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
კოალიციის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ შეფასება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2S1NxxZ [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[89] თომას ჰამარბერგი, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში, 2013, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UtvmTB [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები, 2014, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RZWms6 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

[90] საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2GVh32h [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

პარლამენტთან და გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები კანონპროექტის დასახვეწად.[91]

წლების განმავლობაში აქტიური ბრძოლის შედეგად, 2018 წლის 21 ივლისს დამტკიცდა სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონი და, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად, შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელსაც მიენიჭა უფლებამოსილება, გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის საქმეები.[92]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, პრობლემას წარმოადგენს ინსპექტორის მანდატს მიღმა ისეთი საკითხის დარჩენა, როგორიცაა საგამოძიებო უფლებამოსილების არქონა საქართველოს მთავარი პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.[93] გარდა ამისა, ინსპექტორს გამოძიების დაწყება შეუძლია არა სამართალდამცველთა მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე, არამედ მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, 335-ე მუხლი ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მხოლოდ საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვა ასევე ვერ შეფასდება დადებითად. ინსპექტორის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედება კვლავ პროკურატურის კომპეტენციაა და მხოლოდ მას შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებულ საქმეებში.[94]

[91] კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UxH8wb [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
[92] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლი.
[93] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „თ“.
[94] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31vLXYr [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

საგამოძიებო სამსახურის დაკომპლექტება

სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონით განისაზღვრა ინსპექტორის ქვემდებარობაში არსებული დანაშაულების გამოძიების დაწყების დრო და ვალდებულება, კანონით გათვალისწინებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო რაოდენობის გამომძიებელთა თანამდებობებზე დანიშვნა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ვადა რამდენჯერმე შეიცვალა და, საბოლოოდ, განისაზღვრა 2019 წლის 1-ლი ნოემბერი.[95] მანამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვალდებული იყო, კანონის მიხედვით უზრუნველეყო სამსახურში საჭირო რაოდენობის გამომძიებელთა დანიშვნა. საიამ ინსპექტორის სამსახურიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია[96] გამომძიებელთა ვაკანსიაზე შესული განაცხადების ოდენობის, განაცხადის გაკეთების მომენტისთვის განმცხადებელთა დასაქმების ადგილისა და კონკურსის შედეგების შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული პასუხის მიხედვით, საგამოძიებო დეპარტამენტის დასაკომპლექტებლად კონკურსი გამოცხადდა გამომძიებლის 19 ვაკანსიაზე, საბოლოოდ კი, დაინიშნა 16 გამომძიებელი (84%).

სხვადასხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებთან ერთად, კონკურსში მონაწილეობდნენ სამოქალაქო სექტორში დასაქმებული და, ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მონაცემებით, განაცხადის გაკეთების მომენტისთვის დაუსაქმებელი პირები.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სხვადასხვა სექტორში დასაქმებულ პირთა მიერ განაცხადის გაკეთების პროცენტულ და რიცხობრივ მაჩვენებელს განცხადებათა სრულ ოდენობასთან მიმართებით.

[95] საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2SGkRei [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2P4wSb6 [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
[96] საიას 2019 წლის 27 ნოემბრის განცხადება გ-04/256-19.

დიაგრამა №4



განაცხადთა გადარჩევის ეტაპზე კონკურსით დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილა 109 (58%) კანდიდატმა და ისინი გადავიდნენ წერითი დავალების ეტაპზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სხვადასხვა სექტორში დასაქმებული იმ 109 კანდიდატის რიცხობრივ და პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებმაც წერითი დავალების ეტაპზე გადასვლის უფლება მოიპოვეს.

დიაგრამა №5

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს კონკურსის სხვადასხვა ეტაპზე პროკურატურის, შსს-ს და სამოქალაქო სექტორში დასაქმებული აპლიკანტების თანაფარდობას და, საბოლოოდ, მათგან შერჩეული კანდიდატების ოდენობას გამომძიებლის ვაკანსიაზე.

დიაგრამა №6



კონკურსში მონაწილე დაუსაქმებელ მოქალაქეთაგან, ასევე, სხვა საჯარო სექტორში, სასამართლო სისტემაში, იუსტიციის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროში მომუშავე პირთაგან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში არცერთი არ დასაქმებულა.[97] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ნაწილი, კონკურსის შედეგად, ძირითადად, მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებით დაკომპლექტდა. ამასთან, ინსპექტორის სამსახურში დასაქმდა ფინანსთა სამინისტროს 2 თანამშრომელი და სამოქალაქო სექტორში მომუშავე 2 პირი.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, შეიქმნა არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების პროცესში პროკურატურის მიმართ არსებული კითხვის ნიშნების გამო. ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის 75%-ის დაკომპლექტებამ საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებით (მათ შორის არის თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი, რომელმაც საიას წარმოებაში არსებულ საქმეზე ი.ხ-ს მიმართ წამების/არასათანადო მოპყრობის ფაქტის სათანადო გამოძიება ვერ უზრუნველყო[98]), შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

[97] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 12 დეკემბრის წერილი SIS 71900006877.

[98] საიას განცხადება ი.ხ-ს საქმის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2Prlwhx [ბოლო ნახვა: 05.03.2020].
ირაკლი ხოფერიას საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. საქმე - KHOPERIA v. GEORGIA (განაცხადი: 24736/19) 20.05.2019.

დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფოს მხრიდან წლების განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები და მათზე რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. ანგარიშმა აჩვენა, რომ წამების/არასათანადო მოპყრობის ფორმად სამართალდამცველები ყველაზე ხშირად ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას იყენებენ. არასათანადო მოპყრობის ფაქტებს კი, ადგილი აქვს, ძირითადად, დაკავების, ტრანსპორტირების და პოლიციაში გამოკითხვის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშმა იძულებითი აბორტის მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოავლინა, აღნიშნულმა ცხადყო, რომ სახელმწიფომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა სტამბოლის კონვენციასთან.

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საგამოძიებო ორგანოების მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი კვალიფიკაცია, გამოძიების ეფექტურად და გონივრულ ვადაში წარმართვა, მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საბოლოოდ ამოქმედება და მის ქვემდებარობას მიკუთვნებულ საქმეებზე გამოძიების დროულად დაწყება, თუმცა, დადებითად ვერ შეფასდება სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონის იმ რედაქციით მიღება, რომლითაც ინსპექტორს შეზღუდული მანდატი აქვს.

იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, საიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყების მიერ შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

საქართველოს პარლამენტს

- განახორციელოს ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც მოხდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა სტამბოლის კონვენციის 39-ე მუხლთან – აბორტის იძულებისა და იძულებითი აბორტის კრიმინალიზება.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანოს ცვლილება, რომლითაც სავალდებულო გახდება საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვის თუ დაკითხვის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოს პოლიციის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეებთან კომუნიკაციის ჩაწერა სამხრე ვიდეოკამერებით.
- უზრუნველყოს პოლიციის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებისა და განყოფილებების ტექნიკური აღჭურვა პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ მოქალაქეთა ყოფნის მთელი პერიოდის ვიდეოჩანაწერის საწარმოებლად.

პროკურატურას

- წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეები დაკვალიფიცირდეს ქმედების შესაბამისი მუხლებით.
- სამართალდამცველთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი წამების/არასა-თანადო მოპყრობის საქმეების გამოძიება/ზედამხედველობა მოხდეს გონივრულ ვადებში.
- ზემოაღნიშნულ საქმეებში უზრუნველყოს სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და მათი ინფორმირება საქმის მიმდინარეობის შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ნაწილის დაკომპლექტება მოხდეს გამომძიებლებით, რომელთა მიმართაც მიკერძოებულობის ეჭვი დანიშვნისთანავე არ წარმოიშობა.
- უზრუნველყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეების სწრაფი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება.

დანართი

№1. ა.გ-ს და გ.ბ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის იანვრიდან

2018 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს საათებში, ზუგდიდის რაიონში ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ, რა დროსაც შსს სენაკის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს მანქანის გაჩერება. **პოლიციის თანამშრომლებმა გ.ბ. იძულების წესით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან და ფიზიკურად გაუსწორდნენ.** გ.ბ-ს მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით ა.გ-მ დარეკა მის ცოლთან – ქ.გ-სთან, ასევე, ს.ბ-თან, რომელიც იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა და სთხოვა დახმარება, თავად კი, პოლიციის თანამშრომლებს სთხოვდა, გ.ბ-ს მიმართ ფიზიკური ძალა არ გამოეყენებინათ.

აღნიშნულ ფაქტს შეესწრო არაერთი პირი, მათ შორის, ორი არასრულწლოვანი. პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება გაგრძელდა ბრალდებულების პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგაც, რასაც ადასტურებენ თავად ბრალდებულები და მათი ოჯახის წევრები. ოჯახის წევრებს პოლიციის განყოფილებიდან ესმოდათ ა.გ-ს და გ.ბ-ს ყვირილის ხმა. მოწმეების განმარტებით, მათ ასევე გაიგონეს, თუ როგორ აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას პოლიციის თანამშრომლები დაკავებულ პირებს.

სისხლის სამართლის საქმეს იძიებს სამეგრელო ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა სსკ-ის 333-ე მუხლით. სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე პირი დაიკითხა, თუმცა, დაკითხულნი არ არიან არასრულწლოვნები. ასევე, საოლქო პროკურატურის მიერ არ არის ამოღებული ა.გ-ს სამოსი, რომელიც დაკავების დროს ეცვა. ა.გ. და გ.ბ. დღემდე **დაზარალებულად არ არიან ცნობილნი.**

№2. პ.ფ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის მარტიდან

პ.ფ. თავის მეუღლესთან ერთად მუშაობდა გ.თ-ს ფერმაში. 2018 წლის მაისში პ.ფ-სა და მის დამსაქმებელს გ.თ-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის გამოც მან გადაწყვიტა მეუღლესთან ერთად ფერმიდან წასვლა. სამსახურიდან წასვლისას პ.ფ-მ, გ.თ-ს გაფრთხილების გარეშე, თან წაიღო ფერმაში არსებული სანადირო თოფი (პ.ფ-ს თქმით, ცხოველებისგან თავდაცვის მიზნით), რომელიც გ.თ-ს ძმის ი.თ-ს საკუთრება იყო.

ფერმის მფლობელებმა გ.თ-მ და ი.თ-მ განცხადებით მიმართეს პოლიციას სანადირო თოფის დაკარგვის გამო. 2018 წლის მაისში (ფერმიდან წასვლიდან რამდენიმე დღეში) პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს პ.ფ. და მისი მეუღლე ნ.ფ. რომლებიც თბილისიდან მანქანით წაიყვანეს საქმის გამომძიებელმა ე.ა-მ, თეთრიწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილემ და კიდევ ერთმა უბნის ინსპექტორმა.

სოფელ ფონიჭალასთან ახლოს გამომძიებელმა ე.ა-მ ავტომობილი გააჩერა. თეთრიწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილემ ნ.ფ. ავტომობილიდან გადაიყვანა. პოლიციის ავტომობილთან გ.თ. და თეთრიწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილე რამდენიმე წუთის განმავლობაში საუბრობდნენ (გ.თ. და თეთრიწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილე არიან მეგობრები). საუბრის დასრულების შემდეგ გ.თ. წავიდა იმ ავტომობილისკენ, რომელშიც ისხდნენ პ.ფ. გამომძიებელი ე.ა. და უბნის ინსპექტორი.

გ.თ. ჩაჯდა აღნიშნული ავტომობილის უკანა სალონში, სადაც პ.ფ. იმყოფებოდა. ავტომობილში ჩაჯდომისას გ.თ-მ პ.ფ-ს რამდენჯერმე ძლიერად დაარტყა თავის არეში და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. არც თეთრიწყაროს პოლიციის უფროსს, არც მის მოადგილეს, გამომძიებელს და უბნის ინსპექტორს გ.თ-ს მიერ პ.ფ-სთვის მიყენებული შეურაცხყოფის ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

ცემის შემდეგ გ.თ. გადავიდა მანქანიდან, ესაუბრა ქუჩაში მდგომ თეთრიწყაროს პოლიციის უფროსის მოადგილეს და დაბრუნდა მის კუთვნილ ავტომობილში. პ.ფ. კი წაიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში.

პ.ფ-ს ცემის ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთი პირის მიმართ არ განხორციელებულა. ასევე, დღემდე პ.ფ. **არ არის ცნობილი დაზარალებულად.** ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, ამ დრომდე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

№3. ზ.მ-ს (გარდაცვლილის) საქმე

საია საქმეში ჩართულია 2019 წლის აპრილიდან

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მცხოვრებ მოქალაქე **ზ.მ-ს პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. შედეგად, ზ.მ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და 2019 წლის 15 აპრილს ის ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.**

დღევანდელი მდგომარეობით, კახეთის საოლქო პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

ზ.მ-ს უფლებამონაცვლე ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულად.

№4. რ.მ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის ივლისიდან

რ.მ. 2019 წლის 31 მარტს **პოლიციელებმა დააკავეს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, თავისა და სხეულის არეში ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს. ძალადობის შედეგად, დაკავებულს ჩაემსხვრა კბილები, თვალზე განუვითარდა ჰემატომა** და სტკიოდა თავი. აღნიშნულის შემდგომ რ.მ. გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დაფიქსირდა მისი დაზიანებები, ასევე, მის მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე

სრული ინფორმაცია მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებსა და გენერალურ ინსპექციას.

გამოძიება დაიწყო ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. დღევანდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. **რ.მ. არ არის ცნობილი დაზარალებულად.**

№5. ბ.მ-ს (არასრულწლოვანის) საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის აგვისტოდან

2019 წლის აგვისტოში საიას თელავის ოფისს დაუკავშირდა კ.ფ. და განაცხადა, რომ მისი მეზობელი - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში მცხოვრები არასრულწლოვანი ბ.მ. პოლიციის თანამშრომლებმა გადაიყვანეს შსს გურჯაანის რაიონულ სამმართველოში გამოკითხვის მიზნით. განმცხადებლის თქმით, **პოლიციელები ახორციელებდნენ ზეწოლას ბ.მ-ზე იმ მიზნით, რომ მიეღოთ „აღიარებითი ჩვენება“, კერძოდ, ისინი ბ.მ-ს აიძულებდნენ, ეღიარებინა ვინმე ვ.მ-ს მკვლელობა.** ბ.მ-ს მიმართ განხორციელებული ცემის და ფანჯრიდან ფეხებით გადაკიდების შემდეგ პოლიციელებმა მიიღეს აღიარებითი ჩვენება. რამდენიმე დღეში კი, აღმოჩნდა, რომ ე.წ. მოკლული ადამიანი ცოცხალია.[99]

გამოძიებას აწარმოებს კახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

დღევანდელი მდგომარეობით ბ.მ. **არ არის ცნობილი დაზარალებულად.**

№6. ბ.ხ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის დეკემბრიდან

2019 წლის მაისში ბ.ხ-ს (თვითმკვლელობის შედეგად გარდაცვლილი პირი) მიმართ ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

[99] ბ.მ-ს ინტერვიუ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2VNYt4C [ბოლო ნახვა: 05.03.2020].

ვინაიდან ბ.ხ-ს, მისი ძმის განცხადებით, ჰქონდა ინფორმაცია, რომ აპირებდნენ მისთვის უკანონო ბრალის წარდგენას, იძულებული გახდა საზღვარი გადაეკვეთა და ქვეყანა დაეტოვებინა. გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვეში ბ.ხ. დაბრუნდა საქართველოში. პოლიციასთან თანამშრომლობის შემდეგ მასთან **გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად. სასამართლო პროცესის დასრულებიდან რამდენიმე დღეში ბ.ხ-მ თავი მოიკლა.**

ოჯახის წევრების განმარტებით **პოლიციის თანამშრომლები ბ.ხ-სგან მოითხოვდნენ ეთანამშრომლა საგამოძიებო ორგანოსთან და ეღიარებინა 400 კუბური მეტრი ხის მორების უკანონოდ მოჭრის ფაქტი, რასაც გარდაცვლილი არ თანხმდებოდა**. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები ყოველდღე უკავშირდებოდნენ ბ.ხ-ს და იბარებდნენ დაბა ჯვრის პოლიციაში. დედის განმარტებით, ბ.ხ. დაბა ჯვრის პოლიციაში დღეში ორჯერ ჰყავდათ დაბარებული.

გარდაცვალების დღეს ბ.ხ-მ მის ძმას - ნ.ხ-ს უთხრა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ის მორალურად გაანადგურეს. აღნიშნული საუბრიდან რამდენიმე საათში ბ.ხ-მ თავი მოიკლა და წერილი დატოვა, სადაც მის თვითმკვლელობამდე მიყვანაში რამდენიმე პოლიციის თანამშრომელს ადანაშაულებდა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო 115-ე მუხლით. მიუხედავად წერილის შინაარსისა, სისხლის სამართლის საქმეს თვეების განმავლობაში იძიებდა უწყება, რომელსაც გარდაცვლილი პირი მის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებდა. მხოლოდ 2019 წლის დეკემბერში, საქმეში საიას ჩართვის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო უფლებამოსილმა ორგანომ - სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ. ამ დრომდე საგამოძიებო ორგანოების მიერ დაზარალებულის უფლებამონაცვლე არ არის განსაზღვრული, ასევე, არ არის ბრალი წარდგენილი.

№7. ლ.ს-ს (არასრულწლოვანი) საქმე

საქმეში საია ჩართულია 2019 წლის დეკემბრიდან

2019 წლის 11 დეკემბერს არასრულწლოვანმა ლ.ს-მ სავარაუდოდ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 2019 წლის 10 დეკემბერს (დაახლოებით 17:00-23:00 საათებში) და 11 დეკემბერს (დაახლოებით 11:00-12:00 საათებში) **ლ.ს. იყო ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მხრიდან.**

არასრულწლოვანს ზემოხსენებული პოლიციის თანამშრომლები ფსიქოლოგიური წნეხის გამოყენებით (ემუქრებოდნენ, რომ მის გამო ძმას სასწავლებლიდან გარიცხავდნენ; რომ კისერს მოუგრეხდნენ, როგორც სხვა დამნაშავეებს და ა.შ.) აიძულებდნენ, ეღიარებინა სავარაუდო დანაშაული. პოლიციელთა ფსიქოლოგიური ძალადობა იმდენად ინტენსიური და ძლიერი იყო, რომ არასრულწლოვანი ტიროდა და ითხოვდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუმცა აღნიშნული დახმარება მას არ აღმოუჩინეს.

ლ.ს. ზემოხსენებული ზეწოლისა და წნეხის შედეგად იყო დათრგუნული და თავს გრძნობდა დაუცველად, რის გამოც, სავარაუდოდ, მან თვითმკვლელობა ჩაიდინა.

საიას განცხადების საფუძველზე, ჩვენების იძულების ფაქტზე, 2019 წლის 12 დეკემბერს დაიწყო გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურში.

დღევანდელი მდგომარეობით, სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით გამომძიებელი მ.ჩ. ცნობილია ბრალდებულად.

დანართი №8. გ.მ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის დეკემბრიდან

2019 წლის 18 ნოემბერს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ აქციას ესწრებოდა გ.მ. რომელსაც სახეში მოხვდა წყლის ჭავლი და მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ, მოიტეხა ხელი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. **გ.მ. დაზარალებულად არ არის ცნობილი.**

№9. მ.ტ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის იანვრიდან

მ.ტ-მ 2017 წლიდან სასიყვარულო **ურთიერთობაში იყო ზესტაფონის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროს თ.ო-სთან.** 2018 წლის გაზაფხულზე მ.ტ-ს გაუჩნდა ეჭვი, რომ ორსულად იყო. გამოკვლევის ჩატარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მ.ტ-მ თ.ო-ს უთხრა, რომ ორსულად იყო. **ორსულობის ფაქტის გაგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მ.ტ. და თ.ო. შეხვდნენ ერთმანეთს, თ.ო-მ მ.ტ-ს აბორტის გაკეთება მოსთხოვა იმ მოტივით, რომ ეს გარემოება მას კარიერულ წინსვლაში ხელს შეუშლიდა, რაზეც მ.ტ-მ უარი უთხრა.** აღნიშნულის შემდეგ თ.ო. რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა მ.ტ-ს გადარწმუნებას, თუმცა, უშედეგოდ.

მას შემდეგ, რაც თ.ო. დარწმუნდა, რომ მ.ტ. აბორტის გაკეთებას არ აპირებდა, დაიწყო მის მიმართ მუქარა და ძალადობა. დაემუქრა მოკვლით, მისთვის და მისი ოჯახისთვის ზიანის მიყენებით და ჯანმრთელობის დაზიანებით, ასევე, მ.ტ-ზე ფიზიკურად ძალადობდა.

2018 წლის მაისში თ.ო-მ დაურეკა მ.ტ-ს და უთხრა, რომ მანქანით მისი თანამშრომელი რ.ხ. მივიდოდა და მასთან შესახვედრად წამოიყვანდა. იმავე დღეს თ.ო-ს დავალებით მისმა მეგობარმა და **პოლიციის თანამშრომელმა რ.ხ-მ მოტყუებით ჩასვა მ.ტ. მანქანაში და წაიყვანა ქუთაისში აბორტის გასაკეთებლად. მთელი გზა რ.ხ. ახორციელებდა მ.ტ-ს მიმართ ფსიქოლოგიურ ზეწოლას,** ემუქრებოდა, რომ, თუ აბორტს არ გაიკეთებდა, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. კლინიკაში მისვლისას მ.ტ-მ ექიმს უთხრა, რომ არ აპირებდა აბორტის გაკეთებას და, რომ იძულების მსხვერპლი იყო. **მ.ტ. კლინიკიდან გაიქცა და შევიდა მახლობელ მარკეტში. მარკეტიდან გამოსვლისას გარეთ დახვდა რ.ხ. რომელმაც დაიჭირა, ძალის გამოყენებით ჩასვა მანქანაში და წაიყვანა მდინარის ნაპირთან, სადაც რამდენიმე წუთში თ.ო. მივიდა. ამ უკანასკნელმა მ.ტ-ს მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა და აბორტის გაკეთებას აიძულებდა.** აღნიშნულის შემდეგ ისინი კვლავ მივიდნენ კლინიკაში, სადაც მ.ტ-მ კვლავ დააფიქსირა, რომ არ სურდა აბორტის გაკეთება.

თ.ო-მ, თავისი გავლენის წყალობით, როგორც მთავარი ექიმი, ისე პროცედურის განმახორციელებელი ექიმი დაარწმუნა, რომ მ.ტ-სთვის აბორტი გაეკეთებინათ. **მ.ტ-ს გაუკეთდა ანესთეზია და აბორტი.**

გამუდმებული მუქარის და დამცირების ფონზე, მ.ტ-მ მიიღო იმდენად დიდი სტრესი, რომ სცადა თავის მოკვლა, კერძოდ, დალია დიდი ოდენობით აბები და დაკარგა გონება, თუმცა, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს.

ამჟამად მიმდინარეობს საქმის გამოძიება სსკ-ის 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, 115-ე მუხლით, 372-ე მუხლის მეორე ნაწილით. **მიუხედავად საიას არაერთი მოთხოვნისა, მ.ტ. დაზარალებულად დღემდე არ არის ცნობილი.**

№10. გ.პ-ს საქმე

საიას წარმოებაში აქვს 2019 წლის ნოემბრიდან

2019 წლის 26 ნოემბერს საღამოს საათებში სოციალური ქსელის მეშვეობით გ.პ-ს დაუკავშირდა **შსს-ს ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების თანამშრომელი ა.დ.** და სთხოვა საკონტაქტო ინფორმაცია. გ.პ-მ მისცა ტელეფონის ნომერი, ვინაიდან იცნობდა და გარკვეული შეხება ჰქონდა მასთან, როდესაც ჩხოროწყუს პოლიციაში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე მისი მონაწილეობით. 27 ნოემბერს დილის საათებში ტელეფონით დაუკავშირდა ა.დ. და მოსთხოვა მის სანახავად ჩხოროწყუში ჩასვლა საქმის გამო, რაზეც გ.პ-მ უარი უთხრა, ვინაიდან საჯარო ლექციის ჩასატარებლად ემზადებოდა. **ა.დ-მ დაჟინებით მოითხოვა შეხვედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას გააგებინებდა მისი პირადი ცხოვრების გარკვეული დეტალების შესახებ.**

გ.პ. შეხვდა ა.დ-ს, რომელმაც მუქარით და ძალის გამოყენებით აიძულა, მასთან ორალური სექსუალური კავშირი დაემყარებინა, რის შემდეგაც დაემუქრა, რომ, თუ ამ თემაზე ვინმესთან ისაუბრებდა, პრობლემები შეექმნებოდა.

გ.პ-მ მომხდარი ფაქტის შესახებ აცნობა 112-ს და ითხოვა დახმარება. 112-ში დარეკვიდან რამდენიმე წუთში მასთან მივიდნენ **სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები და გ.პ. განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც საღამოს ცხრა საათამდე ჰყავდათ ისე, რომ არავითარი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებიათ.** მეორე დღეს მომმართველს დაუკავშირდნენ საოლქო პროკურატურიდან, სადაც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი გამოკითხვა და მხოლოდ საღამოს საათებში დაიწყეს სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე **გ.პ. დაზარალებულად არის ცნობილი,** ხოლო **ა.დ-ს ბრალი წარედგინა სსკ-ის 137-ე გაუპატიურების მუხლით.**

№11. პატიმარ ვ.ფ-ს საქმე

საიამ პატიმრობაში მყოფი ვ.ფ. გამოკითხა, რომელიც აცხადებდა, რომ 2013 წლის თებერვალში, ღამის საათებში, თბილისში, ნათესავის ბინაში დააკავეს. დაკავებისას პოლიციელებს მისთვის დაკავების მიზეზი არ განუმარტავთ, დაადეს ბორკილები და ჩასვეს პოლიციის მანქანაში. დაკავების ადგილიდან განყოფილებაში გადაყვანამდე **პოლიციის მანქანაში პოლიციელმა ვ.ფ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, თავში რამდენჯერმე წამოარტყა.**

პოლიციის განყოფილებაში ვ.ფ-ს ასევე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. **მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც პოლიციელებისგან ითხოვა დაკავების მიზეზის განმარტება, უთხრეს, რომ მშვენივრად იცოდა, რატომაც დააკავეს. მოგვიანებით განუცხადეს, რომ მეგობრებთან ერთად ჩადენილი ყაჩაღობისთვის იყო პოლიციაში და ჯობდა, დანაშაული ეღიარებინა**. ვ.ფ-მ უარი თქვა, ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია, რის შემდეგაც პოლიციელები მას უფრო სასტიკად გაუსწორდნენ. **თავდაპირველად სცემდნენ სახის და თავის არეში, ხოლო ამ ქმედებებით ვერ აღიარებინეს დანაშაული, გახადეს წინდები და ხელკეტი ურტყეს ფეხის გულებზე.**

ცემის რამდენიმე ეპიზოდის შემდეგ ვ.ფ. განყოფილებაში შეახვედრეს მამას, რომელმაც უთხრა, რომ პოლიციელები მასზეც ახორციელებდნენ ძალადობას და სთხოვა, ეღიარებინა დანაშაული. მამასთან შეხვედრის შემდეგ ვ.ფ-სთან კვლავ **შევიდნენ პოლიციელები და უთხრეს, რომ თუ დანაშაულს არ აღიარებდა**

დააკავებდნენ მამამისსაც, ასევე, უთხრეს, დაფიქრებულიყო იმაზე, რომ გარეთ ახალგაზრდა ცოლი ელოდებოდა.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად, ვ.ფ-ს განცხადებით, მან აღიარა ის, რასაც მისგან პოლიციელები ითხოვდნენ. პოლიციაში განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ვ.ფ-ზე მძიმედ აისახა. ცემის შემდეგ მას გარკვეული პერიოდის მანძილზე უჭირდა გადაადგილება. ასევე, **საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ სცადა თვითმკვლელობა.** მისი განცხადებით, უგონო მდგომარეობაში მყოფი ვ.ფ. იპოვეს საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებმა და მას გაუწიეს სამედიცინო დახმარება. ვ.ფ-ს თქმით, **მისი ფსიქიკური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ შვიდი თვის განმავლობაში სასჯელს იხდიდა ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.**

ვ.ფ-ს განცხადებით, პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ ჩადენილ ფაქტებზე **გამოძიება მიმდინარეობს,** თუმცა, მისთვის უცნობია - კონკრეტულად რა მუხლით. მან ასევე არ იცის, ცნობილია თუ არა დაზარალებულად.

№12. პატიმარ მ.ლ-ს საქმე

საიას მიერ გამოკითხული მ.ლ. **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა 2016 წელს.** მისი თქმით, 2016 წლის ივნისში თბილისი-ლესელიძე-სენაკის მაგისტრალზე ავტომობილით მოძრაობისას გააჩერა პოლიციამ. **პოლიციის თანამშრომლებმა ის ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს მანქანიდან და თან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასევე, ერთ-ერთმა პოლიციელმა საფეთქლისა და ლოყის არეში ჩაარტყა ცეცხლსასროლი იარაღის ტარი.**

მ.ლ-ს განცხადებით, მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა მას აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მოათავსეს კონვერტში დაულუქავ მდგომარეობაში. მ.ლ. პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

პატიმრის განცხადებით, როგორც ტრანსპორტირებისას, ისე **პოლიციის განყოფილებაში მას აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას და ეუბნებოდნენ, თუ არ აღიარებდა, რომ ეს ნარკოტიკი მისი იყო, უფრო**

დამძიმდებოდა სიტუაცია და მთელი ცხოვრების გატარება მოუწევდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ფიზიკური შეურაცხყოფა გამოიხატა რამდენჯერმე თავში წამორტყმით და ცემით. მ.ლ-მ გამოკითხვისას განაცხადა, რომ მას **ძალადობის შემდეგ ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები საფეთქლისა და ყურის არეში, ასევე, ჩალურჯებები სხეულზე,** რაც დოკუმენტურად არის ასახული წინასწარი დაკავების იზოლატორში სამედიცინო შემოწმებისას.

მ.ლ-ს განმარტებით, პოლიციელები მას N8 დაწესებულების ეზოში პოლიციის მანქანაში მყოფს აფურთხებდნენ. მისი თქმით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგ თავს განადგურებულად გრძნობდა, ხოლო საპატიმრო დაწესებულებაში ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მედიკამენტურ მკურნალობას გადიოდა.

პატიმრის განცხადებით, მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულზე გამოძიება მიმდინარეობს სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით. 2019 წლის აგვისტოში იგი გამოიკითხა აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, თუმცა, დაზარალებულად ცნობილი არ არის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საიუ
GYLA
Georgian Young Lawyers' Association